

შპს „პროტექი“

ფინანსური ანგარიშგება

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „პროტექი“ (ს/ნ 438117477) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობისა და დებულებების შესაბამისად, რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, საგარეჯოს რაიონის, ხოფელი ხაშში.

კომპანიის დამფუძნებელი და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წილის მფლობელია:

ლევან ოთინაშვილი (პ/ნ 01010008599) – 100%

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უსაფრთხოების სისტემების შეძენა/რეალიზაცია.

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

კომპანიის დასახელება: შპს პროტექი

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

31
დეკემბერი
2024 წელი

31
დეკემბერი
2023 წელი

31
დეკემბერი
2022 წელი

მიმდინარე აქტივები

ნაღდი ფული	39	425	178
ფული საბანკო ანგარიშზე	118,830	154,291	104,445
მოთხოვნები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	1,244,943	270,792	108,696
მოთხოვნა გაცემული სესხებიდან	-	-	-
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	555	280	280
გადახდილი ავანსები	144	336,872	203,898
მარაგები	1,548,960	959,980	485,016
გადახდილი გადასახადები	45,291	34,261	-
სულ მიმდინარე აქტივები	2,958,762	1,756,901	902,513

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	189,389	164,399	22,605
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	-	-
ინვესტიცია შვილობილში	-	-	-
არამატერიალური აქტივები	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	189,389	164,399	22,605

სულ აქტივები

3,148,150 **1,921,300** **925,118**

მიმდინარე ვალდებულებები:

ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	178,727	137,733	131,712
გადასახდელი გადასახადები	-	-	-
მიღებული ავანსები	175,152	176,446	17,364
ვალდებულება თანამშრომლების წინაშე	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	7,233
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-

სულ ვალდებულებები **353,879** **314,179** **156,310**

საწესდებო კაპიტალი	25,755	25,755	25,755
გადაფასების რეზერვი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	2,768,516	1,581,366	743,053

სულ კაპიტალი **2,794,271** **1,607,121** **768,808**

სულ კაპიტალი და ვალდებულებები **3,148,150** **1,921,300** **925,118**

თიუოდებიდას	137,733	137,733	131,712
გადასახდელი გადასახადები	-	-	-
მიღებული ავასები	175,152	176,446	17,364
ვალდებულება თანამშრომლების წინაშე	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	7,233
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	353,879	314,179	156,310
საწესდებო კაპიტალი	25,755	25,755	25,755
გადაფასების რეზერვი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	2,768,516	1,581,366	743,053
სულ კაპიტალი	2,794,271	1,607,121	768,808
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3,148,150	1,921,300	925,118



კომპანიის დასახელება: შპს პროტექი

მოგება—ზარალის ანგარიშგება

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავლები:		
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი	3,675,425	2,437,220
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი	34,901	30,727
წმინდა ამონაგები	3,640,524	2,406,493
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	1,390,001	976,464
საერთო მოგება	2,250,524	1,430,029
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	960,284	502,892
იჯარა	51,213	33,172
საოფისე ხარჯები	-	-
კომუნიკაციის ხარჯი	3,389	2,155
ტრანსპორტირების ხარჯები	93	651
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-	-
კომუნალური ხარჯები	-	-
საწვავის ხარჯი	-	556
ბუღალტერია/აუდიტი/კონსულტაცია/ნოტარიუსი	-	-
საბანკო მომსახურების ხარჯები	7,604	13,880
ცვეთა და ამორტიზაცია	16,509	14,792
დაზღვევა	-	-
ქონების/მიწის გადასახადი	1,578	940
მივლინება	4,837	2,099
სხვა ხარჯი	1,094	3,354
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	1,046,602	574,492
საოპერაციო მოგება/ზარალი	1,203,922	855,537
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან	742	1,415
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	16,751	21,964
მიღებული დივიდენდი	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	26	5,535
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	788	2,208
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება (ზარალი)	1,187,150	838,314

საპროცენტო	4,837	2,099
სხვა ხარჯი	1,094	3,354
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	1,046,602	574,492
საოპერაციო მოგება/ზარალი	1,203,922	855,537
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან	742	1,415
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	16,751	21,964
მიღებული დივიდენდი	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	26	5,535
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	788	2,208
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება (ზარალი)	1,187,150	838,314



კომპანიის დასახელება: მპს პროტექი კაპიტალის მოძრაობის უწყისი	საწესდებ ო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება- ზარალი	გადაფასები ს რეზერვი	სულ კაპიტალი
31.12.2022 წაშთი	25,755	743,053	-	768,808

საკუთარი კაპიტალის ზრდა/შემცირება
(+;-)

-

-

მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი

838,314

838,314

-

დივიდენდის გაცემა

-

				-
გადაფასების რეზერვი				-
31.12.2023 წაშთი	25,755	1,581,366	-	1,607,121
საკუთარი კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)				-
				-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		1,187,150		1,187,150
				-
დივიდენდის გაცემა				-
				-
გადაფასების რეზერვი				-
31.12.2024 წაშთი	25,755	2,768,516	-	2,794,271

გადაფასების რეზერვი

31.12.2023 წაშთი	25,755	1,581,366	-	1,607,121
საკუთარი კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)			-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		1,187,150		1,187,150
დივიდენდის გაცემა			-	-
გადაფასების რეზერვი			-	-
31.12.2024 წაშთი	25,755	2,768,516	-	2,794,271



კომპანიის დასახელება: შპს პროტექი
ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	3,736,816	2,837,562
ავანსად მიღებული თანხები	-	-
სესხის პროცენტის მიღება	-	-
სულ შემოსული თანხები	3,736,816	2,837,562
საოპერაციო ხარჯები:		
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2,169,736)	(1,791,791)
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(766,276)	(428,025)
სესხის პროცენტის დაფარვა	-	-
გადახდილი გადასახადები	(818,177)	(546,167)
სულ გაცემული თანხები	(3,754,188)	(2,765,983)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	(17,373)	71,579
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
წილის გასხვისებიდან მიღებული თანხები	-	-
სესხის მიღება/გაცემა	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	-	-
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
დივიდენდის გაცემა	-	-
კაპიტალის ცვლილება	-	-
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	-	-
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(17,373)	71,579
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	154,716	104,624
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	545	1,086
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(19,019)	(22,572)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	118,869	154,716

გადახდილი გადასახადები	(818,177)	(546,167)
სულ გაცემული თანხები	(3,754,188)	(2,765,983)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	(17,373)	71,579
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
წილის გასხვისებიდან მიღებული თანხები	-	-
სესხის მიღება/გაცემა	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	-	-
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
დივიდენდის გაცემა	-	-
კაპიტალის ცვლილება	-	-
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	-	-
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(17,373)	71,579
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	154,716	104,624
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	545	1,086
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(19,019)	(22,572)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	118,869	154,716



2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსს- ფას სტანდარტის შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად

ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში

4. არსებითი საადრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების საადრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

5. ამონაგების (შემოსავლის) აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

6. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე

საადრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საოპერაციო შემოსავლები	2024 წელი	2023 წელი
შემოსავლები რეალიზაციიდან	3,675,425	2,437,220
სულ საოპერაციო შემოსავლები	3,675,425	2,437,220
არასაოპერაციო შემოსავლები		
დადებითი საკურსი სხვაობა საპროცენტო შემოსავალი	742	1,415
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	26	5,535
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	767	6,949
სულ შემოსავალი	3,676,193	2,444,169
	2024 წელი	2023 წელი
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1,424,901	1,007,191
სხვა საოპერაციო ხარჯები	1,046,602	574,492
უარყოფითი საკურსო სხვაობა საპროცენტო ხარჯი	16,751	21,964
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	788	2,208
სულ ხარჯები	2,489,043	1,605,855
სულ შემოსავალი	3,676,193	2,444,169
სულ ხარჯი	2,489,043	1,605,855
მოგება	1,187,150	838,314

7. ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას. კომპანიას არ აქვს გასაყიდად გამიზნული ან სამართლიანი ღირებულებით აღიარებული და მოგებაში ან ზარალში აღიარებული ფინანსური აქტივები. ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შეძენის ან წარმოშობის მიზანზე.

8. ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური - აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად.

აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში. თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით _ გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შემობრუნების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ისე, რომ

აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას შემობრუნების თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

9. ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;

კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა

ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და

დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) - არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს ერთგვარი გარანტიის ფორმა გადაცემულ აქტივზე, რომელიც ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

10. ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები.

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და აღგიმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი

მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი – სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა

(წელი)

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი

ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი

შენობა-ნაგებობა - 50 წელი

არამატერიალური აქტივები - 15 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებები	მიწა	შენობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სპეციალური ტექნიკა	სულ
2023 წლის 31 დეკემბერი	40,319			78,393	12,867	74,945	206,524
შემოსავალი					1,452.64		1,452.64
გასავალი							-
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	40,319	-	-	78,393	14,320	74,945	207,976
დაგროვილი ცვეთა							-
2023 წლის 31 დეკემბერი	-						-
საბალანსო ღირებულება							-
2023 წლის 31 დეკემბერი	40,319	-	-	78,393	12,867	74,945	206,524
წლის ცვეთა				7,839.28	3,254.03	7,494.54	18,588
გასული აქტივის ცვეთა							-
2024 წლის 31 დეკემბერი	40,319	-	-	7,839	3,254	7,495	58,906
საბალანსო ღირებულება							-
2024 წლის 31 დეკემბერი	40,319	-	-	70,554	11,066	67,451	189,389

12. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;

ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება არის ქონება, რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოხდება ქონების გასვლა ან შეწყდება გამოყენება და მოსალოდნელი აღარ იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გასვლიდან. საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გასვლის შედეგად

მიღებულ შემოსავალსა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

13. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების

გამოკლებით. კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ნაწილი მოიცავს სამონტაჟო მასალებს.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ლარი

	2024 წელი 31 დეკემბერი	2023 წელი 31 დეკემბერი
სამშენებლო მასალები (რეალიზაციისთვის გამიზნული)	1,548,960	959,980
საწვავ-საცხები მასალები	-	-
სულ საქონელი	1,548,960	959,980

14. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი


საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

15. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2023 წლის განმავლობაში კომპანიას ჰყავდა 7 თანამშრომელი, ხოლო 2024 წლის ბოლოსთვის არსებული ტანამშრომლების რაოდენობა შეადგენდა 9 დასაქმებულს.



16. დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისაგან.

პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში (გადახდილი დივიდენდის დროს). კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, როგორიცაა ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ), კომპანიის საქმიანობა იბეგრება დღგ-ს 18%-იანი განაკვეთით.

17. საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების მუხლში.

18. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია აისახება განმარტებით - შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ

სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; • შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ

არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

19. საკუთარი კაპიტალი

ლივიდენდები

ლივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. ლივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

2024 წელს კომპანიას ლივიდენდი არ გაუცია.

20. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

	2024 წელი 31 დეკემბერი	2023 წელი 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები საღაროში	39	425

ბაზის ბანკი	1454.02	13,832
თიბისი ბანკი	88,103	122,558
საქართველოს ბანკი	29,272	17,901
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	118,830	154,291
სულ ფულადი სახსრები	118,869	154,716

21. მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2024 წელი 31 დეკემბერი	2023 წელი 31 დეკემბერი
სულ სავაჭრო მოთხოვნები	1,244,943	270,792
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	555	280
სულ გადახდილი აგანსები	144	336,872
სულ მოთხოვნები	1,245,642	607,944

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წელი 31 დეკემბერი	2023 წელი 31 დეკემბერი
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან		
LTD NEW TECHNIK	0	1,554
შპს ქარვასლა	3,608	1,540
შპს უსაფრთხოების სისტემები	135,348	131,948
შპს სეილ მოუშენ	2,470	2,470

სხვა სავაჭრო ვალდებულებები	37,301	221
მიღებული ავასები	175,152	176,446
გადასახდელი გადასახადები	-	-
სულ ვალდებულებები	353,879	314,179

23. საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს _ მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულიად.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 26 სექტემბერს

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე რაიმე მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებმაც ასახვა უნდა ჰპოვონ ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი

ლევან ოთინაშვილი

შპს სეილ მოუშენ	2,470	2,470
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	37,301	221
მიღებული ავასები	175,152	176,446
გადასახდელი გადასახადები	-	-
სულ ვალდებულებები	353,879	314,179

23. საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს – მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულიად.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 26 სექტემბერს

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე რაიმე მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებმაც ასახვა უნდა ჰპოვონ ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი

ლევან ოთინაშვილი

